

სოსო ნემსაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სამსახიობო მიმართულებით.

დაამთავრა თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, სარეჟისორო სპეციალობა; შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასისტენტურა-სტაჟირება სპეციალობით მსახიობის ხელოვნება.

მიღებული აქვს სერთიფიკატი “კულტურის მენეჯმენტის” კურსით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა გააგრძელა კათედრაზე პედაგოგად, აგრეთვე მუშაობდა კინოხელოვნების კოლეჯში.

მუშაობდა ა. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მსახიობად, გორის თეატრის მთავარ რეჟისორად, აგრეთვე შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორად.

დადგმული აქვს სპექტაკლები: “თავისუფალი თეატრის” “გლობუსის”, “ახმეტელის, ბათუმი, ოზურგეთის, ჭიათურის, ქუთაისის, გორის, ახალციხის თეატრის სცენებზე.

მონაწილეობა აქვს მიღებული სტუდენტურ ფესტივალებზე, სადაც დაჯილდოვებული არის ორჯერ მთავარი პრიზით (გრანპრი), “ყველაზე პერსპექტიული შემოქმედის” პრიზით.

გამომშვებული ყავს ორი ჯგუფი.

დადგმული აქვს: 19 სპექტაკლი და 5 პრეზენტაცია;

2005 წელს წარდგენილი იყო სახელმწიფო პრემიაზე.